F 85
1914


# კლდე

№ 4

26 იანვარი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.


ბიბლიოთეკა

**მეოთხე ნომერთან ერთად 1913 წ. ხელის მომწერელთ, (ვისაც წლიური ფასი სრულადა აქვს გადახდილი) ეგზავნებათ პრემია „მთის არწივი შამილი“—ალ. ფრონელისა.**

## ქართული თეატრი

დღეს 1914 წ., ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობის მიერ

# კ. დ. ყიფიანის

**45 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად**

ქართულ სცენაზე გამართულ იქნება

## სადღესასწაულო საიუბილეო წარმოდგენა

დ ი ლ ი თ:

**კონცერტი და სადღესასწაულო მილოცვები.**

„ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი ბ. ზრესმანის ლოტბარობით. ქართ. ხორო მ. კავსაძის ლოტბ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ბ-ნთ გ. აბაშიძისა და გ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მე-3 მოქმედება სუნდუკიანცის კომედიიდან:

I) **პ ე პ ო**

II) მეოთხე მოქმედება დ. ერისთავის დრამიდან **ს ა მ შ ო ბ ლ ო**

III) მეორე მოქ. კომედიიდან **პარიზელი ბიჭი**

ადმინისტრ. დრამატ. საზოგ.

**ს ა რ ჩ ე ვ ი:** 1. იუბილეი კ. ყიფიანისა. 2. მოგონება.—**ექ. გაბაშვილისა.** 3. წიხლები.—**ექალისა.** 4. ჩვენ და ცხოვრება.—**დ. კასრაძისა.** 5. ვისტორგოვი ქართულად სწირავს?! —**ს. და—ნისა.** 6. წერილი რედაქციის მიმართ.—**ვასილ წერეთლისა.** 7. ჭრესა. 8. წერა და შელა.—(არაკი) **რიშ ბაბასი.** 9. დია წერილი დრამატიულ საზოგადოების გამგეობისადმი.—**შ. ამირაჯიბისა.** 10. ქართ. ეთნოგ. საზოგადოების საყურადღებოდ.—**თ. ჟორდანიასი.** 11. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება.—**სამსონ დადიანისა.** 12 მცხეთა.—**მგზავრი ლ—ისა.**

# იუბილეი კ. ყიფიანისა



კოტე ყიფიანი

დიდი დიმიტრის შვილი, კოტე ყიფიანი დაიბადა **1849** წელს თბილისში. კოტეს მშობლები მოწადინებული იყვნენ შვილებისათვის კარგი სწავლა მიეცათ და ხარჯს არ ერიდებოდნენ. ხუთმეტ წლამდე კოტეს შინ ასწავლიდნენ ქართველი და უცხო ტომის საუკეთესო მასწავლებლები. მხოლოდ ქართული ენის მასწავლებელი არ ჰყავდა კოტეს მიჩენილი, მაგრამ თითონ ეწაფებოდა თვით ხალხურ, შეურყვნელ ენას მამა-მისის ყმების წყალობით. კოტეს თავდაპირველად სამხატვრო ნიჭი აღმოაჩნდა, და კიდეც გაგზავნა იგი მამამ სამხატვრო აკადემიაში 1866 წელს პეტერბურგს, მაგრამ თვალების

ავადმყოფობის გამო იგი იძულებული იყო თავი დაენებებია ამ საყვარელ საქმისათვის. იგი აქიდან მოსკოვს გაემგზავრა და პეტროვსკის სააგრონომიოსატყეო აკადემიაში შევიდა. ოთხი წელიწადი დაჰყო ამ აკადემიაში, მაგრამ სახელმწიფო ეგზამენების ჩაბარება არ დასცალდა, რადგანაც დიმიტრი დიდსაქმეებში იყო გაბმული, საკუთარ საქმეებისათვის არ ეცალა და კოტე საჩქაროდ შინ დაიბარა. დიმიტრის ოჯახი მაშინ თითქოს საკრებულო იყო ჩვენი საზოგადოებისა, იქ ემზადებოდნენ წარმოდგენებისათვის, კოტეც დაახლოვებული იყო ამ წრეებთან და პატარაობიდგანვე ახლო იდგა თეატრის საქმეებთან. 1871 წელს კოტემ და იოსებ მამაცაშვილმა დაარსეს წარმოდგენების მმართველი წრე და შემოსავალს ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ დებდნენ. მუდმივი დასის შედგენამდე კოტე ერთს საუკეთესო სცენის მოყვარედ ითვლებოდა და შემდეგ კი სხვა და სხვა დასებში მოღვაწეობდა. ამპლუა მისი უმთავრესად დრამატიულია და „შეილახა", „მეფე ლირი", „ლეონიძე", „ანანია გლახა" და სხვა და სხვა საუკეთესო როლებია, მისი რეპერტუარისა. კოტეს მწერლობაშიაც მიუძღვის ღვაწლი და ბლომად მოიძებნება მისი დრამატიული, პუბლიცისტური და აგრეთვე მეცნიერული ხასიათის. ნაწარმოებნი დღეს მადლიერი ქართველობა იხდის 45 წლის მის სასცენო და სალიტერატურო ღვაწლის აღსანიშნავად იუბილეს და ისეთ ხანგრძლივ დაუღალავ შრომისთვის აგვირგვინებს მას.

---

ჩვენს დროში ისევ და ისევ მსჯელობა ხელოვნების მნიშვნელობაზე საერთოდ და თეატრისა განსაკუთრებით მხოლოდ ტრუიზმი იქნებოდა, რადგანაც ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ადამიანს საკმაოდ შეგნებული აქვს მათი მნიშვნელობა. ხელოვნება, რამდენადაც მას ზოგად-კაცობრიული ხასიათი აქვს, ყველასთვის, ყველა ერისათვის თითქმის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. თუ საერთოდ სასარგებლოა ხელოვნება, როგორც მაღალ, სულიერად ამამაღლებელ და განმასპეტაკებელ ემოციათა გამომწვევი, იგი ერთგვარად აღამაღლებს, როგორც ქართველს, აგრეთვე ფრანგს, გერმანელს ინგლისელს და სხ. ასე რომ, ამ მხრით თეატრი ისეთივე აუცილებელი და სასარგებლო ტაძარია ხელოვნებისა, როგორც სხვებისთვის, მაგრამ როდესაც გავითვალისწინებთ ერთა სხვა და სხვა გვარ მდგომარეობას, მათ ეროვნულ თავისებურ განწყობილებათა და ლტოლვილებათ, აქ შეიძლება ხელოვნებასაც სხვა და სხვა გვარი დანიშნულება და მნიშვნელობა მიეცეს. ხელოვნებას, ჩვენ ვერ დაუსახავთ წინასწარ მიზანს; ჩვენ ვერ მოვთხოვთ ხელოვნებას, როგორც ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას, ესა თუ ის წინად-აღებული მიზანი დაისახოს, ამა და ამ ჩვენს სურვილს, ჩვენს საჭიროებას ემსახუროს, ეს აქოს და ის აძაგოს. წმინდა ხელოვნების სულის შემხუთველია დიდაქტიური მიდრეკილება და, როდესაც იგი ჩამოდის პიროვნებისა, თუ ეროვნების და ან თვით კაცობრიობის „საჭიროებათა" განხილვამდე, იგი ჰკარგავს სხივოსნობას და „სარგებლობის" ვიწრო კალაპოტში იკუმშება. მაგრამ არის ხოლმე ერის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, ისეთი მდგომარეობა, რომ ხელოვნება, ხშირად დროებით, სტოვებს განდგომილს ოლიმპს და თავის მფარველობის ქვეშ იღებს რეალურ „საჭიროებათ". თუ რუსეთის მწერლობის შესახებ ითქმის, რომ იგი იყო რუსის ერისათვის პარლამენტიც, სკოლაც და ტრიბუნაცო, ეს მით უმეტეს ჩვენს მწერლობას შეეხება. მას შემდეგ, რაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენი მწერლობა, მხატვრული მწერლობა განთავისუფლდა სპარსულ-ბიზანტიურ უღელიდან და ეროვნულ ნიადაგს ჩაეკონა, იგი განუწყვეტლივ იქიდან საზრდოობს, ახლდება და ღონიერდება. ჩვენი დრამატიული მწერლობაც სწორედ მაშინ ჩაისახა, როდესაც ჩვენმა ხელოვნებამ თითქოს ჰპოვა ბუნებრივი გზა და ეროვნულ კალაპოტში ჩადგა. იმ დროს, როდესაც ეს-ეს იყო ახალი მოქალაქობრივობა ისახებოდა, სასცენო ნაწარმოებთა საშუალებითაც ჩვენი დრამატურგები საზოგადოებაში ახალ აზრებს ჰფანტავდნენ, ჰკიცხავდნენ და დასცინოდნენ ჩვენი ცხოვრების ანორმალურ მხარეებს და აღიდებდნენ საღს, ბუნებრივს და სასარგებლო მიმდინარეობას. ჩვენი ერი მაშინ დაადგა გათვითცნობიერების გზას, თანდათან ეგუებოდა და ეთვისებოდა საღს, შეგნებულს პატრიოტიზმს. ნახევარ საუკუნის განმავლობაში, როდესაც დაიმსხვრა ჩვენი პოლიტიკური თავისუფლება და დავეწაფეთ ახალს ცხოვრებას, ბევრი ასცდა ჩვეულს კალაპოტს, ალღო ვერ აართვა ასეთ მოულოდნელ და არა ბუნებრივს პერტურბაციებს, მოსწყდა აგრეთვე მშობლიურ ნიადაგს და ამ უნიადაგობამ შეჰქმნა დაავადებული ფსიხიკა, უსარგებლო და მავნებელი, როგორც იმ ახალი მოქალაქობრიობისათვის, აგრეთვე ეროვნული აღორძინებისათვის, და აი აქედან იღებს მასალას ჩვენი კომედია. გ. ერისთავი, ასიკო ცაგარელი, ანტონოვი და სხვები იყვ-

ნენ, სოკრატის შედარება რომ ვიხმაროთ, ის ბზიკები, რომელნიც შეუბრალებლივ სუსხავდნენ ჩვენს საზოგადოებას, ძილს უკრთობდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ და მხატვრულ ტიპებით გვაჩვენებდნენ ჩვენს სიმახინჯეს.

აგრეთვე მაშინ დავკარგეთ, უკეთ რომ ვსთქვათ, მაშინ ასცდა ჩვენი ,,წარჩინებული წოდება'' თავის კალაპოტს, იგი გამოსცვალა ბიუროკრატიამ და სრულიად უსაქმოდ დარჩენილ წოდებას გზა დაებნა. ეს წოდება ისტორიული დანიშნულებით, აგრეთვე მეომარი წოდება იყო, რომელიც სამშობლოს მტერთაგან დაცვას ეწირებოდა, მთელი მისი ენერგია აქეთკენ იყო მიქცეული და, როდესაც მას ეს ნიადაგი გამოეცალა, იგი ვერ შეეგუა ახალ მოთხოვნილებათ, ახალ ცხოვრებას და, თუ უმცირესობამ გამოიჩინა კიდევ ცოტაოდენი სასიცოცხლო ძალა, ერთი რიგი ამ წოდებიდან ისევ „სამხედრო ბანაკს'' მიეკედლა და ზოგიც პარაზიტად გადაიქცა ეროვნულ ორგანიზმისა. ბევრმა ამოსვარა ტალახში იმ დროებში ის წმინდა დროშა ეროვნებისა, რომელსაც იგი გუშინ სიცოცხლეს ანაცვალებდა, ბევრმა გასცვალა თავისი სამშობლოს ინტერესები სათვალთმაქცო ,,ნიშნებში'' და აი, აქაც ჩვენი მწერლობა, ჩვენი დრამატურგები გამოვიდნენ ერის სიწმინდის დამცველებად და სუსტთა მამხილებლებად. ჩვენმა მწერლობამ აიტაცა დაცემული ლოზუნგი ,,სამშობლოს გაუმარჯოს''-ო და თეატრში შეკრებილს ქართველთა ჯგუფს ძველებური დიადი გრძნობით აუძგერა თითქოს გაცივებული გული. ლეონიძეში შეაჯგუფა ყოველივე სალი და საოცნებო, რაც უნდა ჰქონოდა ქართველს, შეგნებულმა პატრიოტმა, იმის გარშემო მოუყარა თავი გაფანტულს ქარველობას, მისი გმირობის წინაშე მუხლთ მოახრევინა და მისაბაძ მაგალითად გადასცა.

შემდეგ. მაშინ, როდესაც ჩვენ ვეწაფებოდით, ახალი გზით, ევროპიულ კულტურას, როდესაც ვეცნობოდით განათლებულ ერთა ზნე-ჩვეულებას და მათ მისწრაფებას, მაშინაც ჩვენმა თეატრმა თვალწინ დაგვიყენა ბრიტანიის გენიოსის კალმით დახატული გმირები, აღგვიძრა მათი განცდანი და საკაცობრიო იდეალებით გვაზიარა. და მოხდა სასწაული. დღეს, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა, არა გვრცხვენია ჩვენი ქართველობისა, ვიცით რაა დასაგმობი და რა სასიქადულო, ვაზროვნებთ და ვგრძნობთ განათლებულ ერებთან ერთად, მათ მსგავსად, და უმთავრესი ღვაწლი ამაში მიუძღვის ჩვენს თეატრს, ამ ჩვენს სკოლას, პარლამენტს, ტრიბუნას, ამ ჩვენს ეროვნულს ტაძარს. და ქურუმნი ამ ტაძარში ჩვენი პირველი არტისტებია და მათგან ერთი პირველთაგანი დღევანდელი იუბილიარი კოტე ყიფიანი. ჩვენ ვკარგავდით ჩვენს ეროვნულს სახეს და მათ იგი დაგვიბრუნეს, ჩვენ გვავიწყდებოდა ჩვენი ვანაწამები სამშობლო და მათ იგი შეგვაყვარეს, ეს სასწაული მათ შესძლეს იმიტომ, რომ თითონაც გამსჭვალული იყვნენ სალი, უმწიკვლო პატრიოტიზმით. ამიტომაც გვიყვარს ჩვენ კოტე, ამიტომაც საქვეყნოდ მადლობას ეუბნება მას მისი სამშობლო. იცოცხლე კიდევ, ძვირფასო ადამიანო, ნახე და დასტკბი იმ შედეგით, იმ დიადი ნაყოფით, რომელიც გამოიღო შენმა და შენი ამხანაგების იმ დროინდელ მოღვაწეობამ.

# მოგონება კოტე ყიფიანის იუბილეის გამო

ამბობენ მოხუცებული მოგონებით სცოცხლობსო და სწორედ ასეც უნდა იყოს. თუ აწმყო აღარ სწყალობს, წარსული ხომ მისია! იქნება ცოტა უკეთ, ცოტა გალამაზებულად ესახებოდეს ეს სიყმაწვილით აყვავებული წარსული მოხუცს, მაგრამ სინამდვილესაც გზას არ აუხვევს, ცოტად თუ ბევრად ახალ თაობას გავლილისაკენ გადაახედებს და ღვაწლს მამებისას კეთილად მოიხსენიებს. სწორედ ამით ვხელმძღვანელობ მეც, სამოც წელიწადს გადაცილებული დედაბერი და ხანდისხან სიამოვნებით ვიგონებ იმ დროთა ბრუნვას და პიროვნებათა მოქმედებას, რომელნიც მრავალ წელთა განმავლობაში ჩემ თვალწინ ტრიალებდნენ და თან დიდი ხნის ჩაძინების შემდეგ ქართველთა გამოფხიზლების ჩარხს ატრიალებდნენ.

ერთი ამ მომქმედ პირთაგანი და მასთან დიდად ნაყოფიერი და ნიჭით სავსე, რასაკვირველია ჩვენი საყვარელი არტისტი კოტე ყიფიანი არის. საუბედუროდ და ქართველების ბელეშობით, მე არ მიწერია მემუარები და დანამდვილებით ვერ აღვნიშნავ ამა თუ იმ ფაქტს კოტეს საზოგადო ასპარეზზედ გამოსვლისას, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს და, რადგან პირადად მეც ვიღებდი მონაწილეობას იმ სამზადისში, როდესაც ქართულ სცენაზედ პირველად აპირობდნენ შექსპირის ტრაგედიის

,,ვენეციელი ვაჭარი''-ს დადგმას. დიმიტრი ყიფიანის სახლი, მთელი ორი თვის განმავლობაში, პირამდე სავსე იყო ხოლმე ქართველი ახალგაზრდობით და თვით არიგებდა როლებს, და რეჟისორობდა და ვისაც კი ადამიანის ნიშანწყალი ეჩნეოდა რამ, ძვირფასის სახლი-პატრონისაგან შეუნიშნავი არ რჩებოდა და თავის შესაფერ როლს იღებდა. მაშასადამე კოტემ პირველმა ქართულ სცენაზედ ფეხი აადგმევინა უდიდესი ტრაღიკოსის გმირს შეილოკს და თავისი თამაშით მაშინდელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. იმისი მძლავრი ბარიტონი, რომელიც სჭექდა და გრგვინავდა, რომელიც შურის ძიების ცეცხლს ჰყრიდა დაჩაგრულის და შეურაცხყოფილის ებრაელის შეილოკის პირით იმათადმი, ვინც ვითომ ქრისტეს რწმენის სახელით სდევნიდა და შეურაცხჰყოფდა, იმ მაღალ ზნეობის და უნივერსის ხალხის შვილებს და, როდესაც შეილოკის ქალმა საზოგადო მსაჯულად გადაქცეულნი ქრისტიანნი გაამტყუნა და ებრაელთა სიმართლე ნათელჰყო, ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს 1873 თუ 74 წ. და მის შემდეგ რამდენი უკვდავი ტიპი შეჰქმნა კოტემ ჩვენ სცენაზედ! რამდენი შეუდარებელი მაღლამფრენი განცდის ნამი აგემა ქართველს მაყურებელს, მარტო ლეონიძე ქართული ეროვნული დროშით ხელში, დაჩოქილი ქართული რაზმის წინ და მღაღადებელი სამშობლოს გამარჯვებისთვის, რადა ღირს?! ან რა ფასი დეედების უმაღლეს ნიჭით აღჭურვილ შემოქმედს?! ჩვენ მხოლოდ მადლობით გავიხსენებთ ამ გმირებს და კურთხევას ვუძღვნით! იმას, ვისაც ცა ნიშნავს მოციქულად და ერი ზრდის განსაკურნად, თითონვე, თავის მოქმედებაში უნდა გრძნობდეს უმაღლეს კმაყოფილებას.

**მქ. გაბაშვილისა.**

# წ ი ხ ლ ე ბ ი

ქართველობას მესამე წიხლის ჩაკვრას უპირობენ.

პირველი წიხლი ჩაგვკრეს მთავრობის ხიზანთა კანონ-პროექტის სახით, რომელმაც, წინააღმდეგ ყოველი ლოღიკისა, კანონისა, სიმართლისა, გალატაკებულ ქართველ გლეხობას სამუდამოდ ჩამოაშორა ვეებერთელა მიწის ფონდია ქართლში და გადასცა ოსებს.

მეორე წიხლი—პოლიტეხნიკუმი.

წინააღმდეგ ჭეშმარიტ ფაქტებისა, წინააღმდეგ გონებისა, წინააღმდეგ სინიდისისა!! ჩაგვკრეს და შემოგვიტიეს:

გაჩუმდით!.. თორემ... ხომ იცითო!..

ეხლა მესამე წიხლის ჩაკვრას გვიპირობენ...

ეს მესამე წიხლი საქართველოსათვის საშინელი იქნება.

მას უნდა ჩამოაშორონ მესხეთი, ჯავახეთი, ბორჩალო და ხონჩით სომხებს მიართვან...

ასე უბრალოდ, ხონჩით!

როგორც გუშინ ხონჩით დამოუკიდებელი ეკლესია მიართვეს.

გუშინწინ ხონჩით სომხის გლეხობას მიართვეს საქართველოს დიდძალი მიწები

და დღეს ხონჩითვე ჩვენი საუკეთესო და ვეებერთელა ნაწილები მათ უნდა უძღვნან.

რასაკვირველია, ხვალ ,,სომხურ'' ერობას მიართმევენ,

ხვალზევით ,,სომხურ ავტონომიას''!..

ერთი სიტყვით, რევერანსი და პროშტი სომხებს და მუდამ წიხლები ქართველებს.

მათ კათოლიკოსები
ჩვენ კირ-ინოკენტიები;
მათ სომხური სკოლები
ჩვენ პაშკევიჩ-ვოსტორგოვები;
მათ მიწა წყალი
ჩვენ შავი ქვა;
მათ ,,ავტონომიები''
ჩვენ „პოლიგონები";
და ასე წიხლები, სულ წიხლები...

რა ვუყოთ?..

ამასა ჰქვიან დღეს ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა!

არ ვიცი, რა სიბრძნეა დამალული ამ „წიხლების'' პოლიტიკაში ქართველ ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ორივე ფეხით წიხლის სროლა ორფეხა ცხოველთათვის მეტად სახიფათოა.

,,ამიერ კავკასიის გუბერნიების საზღვრების გადამიჯვნის პროექტში'' მე, სწორედ, ამ სახიფათო მოვლენასა ვხედავ.

მისი მსროლელი უსათუოდ წაიქცევა დაზიანდება და ძნელად ღა ადგება.

**ეკალი.**

# ჩვენ და ცხოვრება *)

სამწუხაროდ ბანკი ვერ გამოდგა თილისმით აღჭურვილ იარაღად, რომ ერთხელვე დავალიანებისკენ დაქანებული საქართველო როგორმე შეეჩერებინა და ეხსნა სავალალო მდგომარეობიდან. მეორე მხრით, თვით ჩვენს მოღვაწეთა აზროვნება გაიყო ბანაკებად და ბანკზე სულ სხვა და სხვა შეხედულობა გამოჰქონდათ. დიმიტრი ყიფიანის დევიზი ჩამოშორებული იქმნა ილია ჭავჭავაძის მიერ, რადგან ასეთი მსვლელობა ბანკს კრახამდე მიიყვანსო. და აი, მისმა ძლიერმა ლოღიკამ ბანკს დანიშნულება შეუცვალა, რის გამოც ბანკმა არა თუ ვერ შეაჩერა დავალიანების პროცესი, პირ-იქით, კიდეც დააჩქარა. მამულების დაგირავებას, რა თქმა უნდა, სარგებელი ეკვეცებოდა, იმართებოდა საჯარო ვაჭრობა, სადაც მყიდველებად გამოდიოდნენ უცხოელები, რუსობა და ნამეტნავად სომხობა, რომელთაგანაც ისედაც ბლომად ვალი ედო ჩვენს ბრწყინვალე წოდებას. ასე წავიდა და დაიღუპა საუკეთესო მამულები, ასე უკვალოდ გაჰქრნენ სამკვიდრო-სამთავროები, რომელთა საფასური უნიადაგოდ გაჰქრა და არაფერს მოხმარდა, რომ ერთი დარგი მაინც აყვავილებულიყო. პირ-იქით, ყოველ მხრით დაქვეითებასა ვხედავთ. ნატურალისტური წარმოება სოფლად არა თუ პრიმიტიულ მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა, ის მოვლის შნოც დაჰკარგა, რასაც მე-XIX საუკ. სჩვეოდა. არა სჩანან სამეურნეო დაწესებულება, არა სჩანს საკომერციო დაწესებულებანი, რომ ბანკის ოპერაციებისთვის ხელი შეეწყოთ. სავალალო მდგომარეობაშია თვით ბანკი, იგი გირავნობისა და სესხის საზღვრებს ველარ სცილდება. სულ კი იმიტომ, რომ კომერცია კიდევ სამარცხვინო ხელობად მიაჩნიათ. თითქოს ბატონყმობის გადავგდებამ რაოდენადმე შეარყია პატრიარქალური უზრუნველყოფილება, თითქოს კაპიტალმაც იწყო შემოსვლა, მაგრამ ჩვენი ცხოვრების შერყევა ასე ადვილად ვერაფერმა შესძლო, თუ ზემოდ აღნიშნულ ვაჭხანალიას და გარეგნულ ევროპიელობას არ მივიღებთ მხედველობაში.

ლიბერალ კულტურტრეგერ ვარანცოვის მიერ შექმნილი ატმოსფერა ოდნავაც არ იწმინდება მეოთხმოცე წლების აქეთ. დრამატიულ ინტერესს არ არის მოკლებული მე-90 წლებში ეგრედ წოდებულ **მესამე დასელების** გამოსვლა, რომელთაც მედიდური აღმაფრენით დასტური დასცეს და კანონიერად აღიარეს მიმდინარე პროცესი. მათ განამტკიცეს ის აზრი, ვითომც ეს დავალიანება კაპიტალიზმის შედეგი ყოფილიყოს, ვითომც კლასთა ბრძოლამ წარმოშვა იგი, ვითომც საზოგადოება კიდეც გაიყო ორს შეურიგებელ ბანაკად: ბურჟუებად და პროლეტარებად! დღესაც, როდესაც ასე თუ ისე შევგიძლიან ვსთქვათ, რომ კაპიტალიზმის მზგავსი რაღაცა არისო, როდესაც კაპიტალისტურ წარმოებას გარკვეული სახე არ მიუღია, ახლად გამოსულ დასელების ხელში უკვე გაჩაღებულ ბრძოლად იქმნა გამოცხადებული. ვინ იყო სანუკვარი პროლეტარი? რა თქმა უნდა, გლეხობა! გლეხი კი, დღესაც, თუნდა ქარხანაში მუშაობდეს, ძნელია ისე იყოს წამოსული, რომ კერძო საკუთრება არ ჰქონდეს სოფლად. დასელების თვალში კი იგი, შიშველი პროლეტარი იყო, რომელიც ქართველ კაპიტალისტებისაგან იჩაგრებოდა!

რაკილა აღმოჩნდა პროლეტარი, რაკილა კლასთა ბრძოლაც ცხადი ჰყვეს, ახლა იმის წინასწარმეტყველებას შეუდგნენ, რომ ამ ბრძოლის სარბიელზე მალე ქართველი პროლეტარი შეუერთდება სომხისა, რუსის, პოლონელისა თუ უცხოელების მუშებს, რათა ჩაგვრელთა შური იძიონო. მაგრამ ამითი არ გათავებულა რომანტიკ-უტოპისტების ალმაცერი აღმაფრენა: იგინი თამამად ამტკიცებდნენ, ვითომც სომხისა და ქართველის უბრალო სისხლი, უკედ — მუშები, ვთქვათ, თუნდა პროლეტარები ეროვნულ შუღლს არა ჰგრძნობენ; თუ მზგავსი რამ არსებობს, ეს მხოლოდ ორი ერის ბურჟუაზიის ბრძოლის ანარეკლია ეკონომიურს ნიადაგზე და მეტი არაფერიო! სამწუხარო ის იყო, რომ ამგვარმა მეცნიერულმა დილლეტანტიზმმა წარმოშვა არა თუ წრფელ გრძნობათა სრული ატროფია, არამედ თვით კეთილგონიერებისა და ლოღიკის ყოველგვარი კრიტერიუმიც კი ამოჰშალა. მათს მოშხამულს ფსიხიკას რატომღაც ვერ მოუნელებია თვისი ქართველობა. რაღაცა გამოურკვეველი ავადმყოფობით ესწრაფებიან, რომ ადრე და მალე ამოჰშალონ საქართველოს სახელი კავკასიის რუქიდან და ამ რიგად შესწირონ უნივერსალურ კაპიტალიზმის სამსხვერპლოს. მათ ავიწყდებოდათ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ დასავლეთ ევროპიდან გადმოტანილ მოძღვრებასთან ერთად გადმოეტანათ იქაურ სოციალურ წესწყობილებათა დამოკიდებულებანი. ერთის სიტყვით, განმეორდა ის, რასაც თვით მარქსი

---

*) იხ. „კლდე“ № 3.

უსაყვედურებდა გერმანელ ფილოსოფოსებს: საფრანგეთის განმანათლებელთა ფილოსოფიურ დოქტრინების გადმონერგვის დროს რატომ დაივიწყეთ, რომ იქაურ დამოკიდებულებათა წესრიგიც გადმოგეცათო. *) აი, ამითი აიხსნება, რომ მარქსიზმი დასელების ხელში მხოლოდ გარეგნულად ახდენდა ეფექტს, როგორც სერიოზული დოქტრინა, ნამდვილად კი ჩვენ რეალურ ცხოვრებისთვის სრულიად გამოუსადეგარი და შეუგუებელი მოძღვრება იყო, რამაც ვნება გაცილებით მეტი მოგვიტანა, ვიდრე სარგებლობა.

დასელებს ოპოზიცია იმავე თავიდან გამოუჩნდა, თუმცა სუსტი. იგი უფრო ძლიერდება ,,ცნობის ფურცლის‘‘ შემდგომ, სადაც თავს იყრიან საუკეთესო ძალები ახალგაზრდა პუბლიცისტის განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ბელადობით. ეს უკანასკნელი სულ წინაამდეგს ამტკიცებდა: ეროვნული ანტაგონიზმი დიახაც რომ ჰსუფევს და ეკონომიურ შუღლთან ერთად იზრდებაო. სომხები ძლიერნი არიან, მათ აქვთ ყოვლად შემძლებელი ღმერთი — ფული და მარტო ეს საკმარისია, რომ ქართველ ერს საფრთხე ელოდესო. თვით გადმოსახლებული სომხობა და მუშებიც კი დიდათა ვნებენ ქართველთა ინტერესებს: პირველნი ტერიტორიას იჭერენ და ქართველ გლეხობას ავიწროებენ, ხოლო მეორენი უმცირედეს ფასში ექირავებიან მექარხნეებს და მით კონკურენციას უწევენ ქართველ მუშებსაო.

მთელი ოცი წელიწადი მოუნდა ამ მშრალ თეორიების მტკიცება-უარყოფას. საუკეთესო ძალა და ენერგია შეილია უნიადაგო ბრძოლამ. არასოდეს რეალური საკითხები, არასოდეს ცხოვრების კონკრეტულად წამოყენებულ კითხვის პასუხი, არა! ჩვენ ვსდუმდით, როდესაც სხვები მოქმედებდნენ; ჩვენ ერთურთში ვკინკლაობდით თეორიებზე, როდესაც შავი ზღვის ნაპირებზე პირველად დაიწყეს შიდა რუსეთის გლეხობის გადმოსახლება; ჩვენ ვკამათობდით თეორიებზე, როდესაც ცხოვრება განახლებასა თხოულობდა, ინდუსტრია ახალ საწარმოვო იარაღებს, მამული — მოვლას; ჩვენ სოციალიზმის მტკიცება-უარყოფაში ვიყავით იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობელი სომხები ნელ-ნელ ქალაქის თვითმართველობიდან გვერეკებოდნენ, რათა უკანტროლო სომხურ პარლამენტად გარდაექმნათ იგი; ჩვენ შოვინისტობას ვუკიჟინებდით, თუ რომ მამულის დაცვაზე ხმას ვინმე ამოიღებდა, მაშინ როდესაც ,,ინტერნაციონალისტი‘‘ ჩვენი მეზობელი სომხობა ჩვენგან უარყოფილ მამულებს სიხარულით ხელში იგდებდა! ასეთი ანომალიის ბეჭედი აზის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულებს და ახალ საუკუნის დასაწყისში ქართველთა სოციალურ ცხოვრებას თუ მის ბაირახტართა აზროვნებას, ასეთი პროგნოზი გაეშლება თვალწინ, როდესაც თვალს გადავავლებთ ჩვენს სავალალო დაუდევრობის ისტორიას! ეს მხოლოდ **დღეს** შევიგნეთ, **დღეს**, როდესაც პოლიტეხნიკუმის საკითხი ასეთი შიშველი სახით ჩამოხრჩობილი იქმნა „ფინანსიური მოსაზრებით‘‘, დღეს რეალურად განხორციელდა ის შიში, რაც რომ არჩილ ჯორჯაძემ პარადოქსად გამოსთქვა! მოულოდნელმა ქარიშხალმა შეარყია თეორიების ბურუსი. ხელახლად თავი წამოჰყო თავდაცვის ინსტიქტმა, რა თქმა უნდა, არა ვისიმე გასარეკად, არამედ **საკუთარ სიცოცხლის** შესარჩენად. პირველი კითხვა შემკრთალი ქართველისა იყო, თუ რა მოხდა მიძინების დროს: ხოლო როცა გამოირკვა და წინ გაშლილ პერსპექტივებში საშინელების სახე დაინახა, იგი შეკრთა, მაგრამ დაუყონებლივ მეორე კითხვა წამოაყენა: **მაშ რა ვაქეთოთ?**

**დ. კასრაძე.**

---

# ვოსტორგოვი ქართულად სწირავს?!

ამ დღეებში „სახალხო გაზეთში‘‘ დასტამბული იყო ერთი გასაოცარი პატარა წერილი მოსკოველ ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფისა, რომელიც პროტესტს აცხადებდა, რომ ნინოობა დღეს ქართველ სტუდენტთა მეორე ჯგუფს ცნობილი ვოსტორგოვი მოუწვევია, ქართულად უწირვინებია და მადლობა გადაუხდია მისთვის. დაუჯერებელი რამ ცნობაა სწორედ! ის ვოსტრგოვი, რომელმაც ქართველი ერის, ქართველი კულტურის, ქართული ეკლესიის გაქირდვით, ჩაწიხვლით და სიძულვილით შემოდგა ფეხი და რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველთაგან მხოლოდ ზიზღი და გულის-წყრომა დაიმსახურა; ის ვოსტორგოვი, რომელმაც თავისი ერთაჭამიობის კარიერა ყოველივე ქართული საქმის

*) იხ. მდეხანოვი ,,О Коммунизмѣ‘‘ მისავე თარგმანი ,,კომუნისტური მანიფესტი‘‘ გვ. 81.

სიძულვილსა და ცილისწამებაზედ ააშენა; რომელიც უარჰყოფდა არა თუ ჩვენს აწინდელს კულტურას და ჩვენს ინტერესებს, არამედ ჩვენს წარსულ კულტურასაც სწიხლავდა, რომელიც სხვა და სხვა ვერაგულ პროექტებს ადგენდა ქართველ ტომთა გასათიშვად; ქართულს ენას „ძაღლის ენას" უწოდებდა და მეგრელებს კიდევ ახალი, საკუთარი ენისა და მწერლობის შემოღებას ჰპირდებოდა; ის ვოსტორგოვი, რომელიც ყოველი საშუალებით ძირს უთხრიდა ქართული ეკლესიის თავისუფლებას ყოველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა (ის იყო ავტოკეფალიის შესახებ მომხსენებელი რუსეთში სამღვდელოების კრებაზე), რომლის მეცადინეობით განიდევნა სამშობლოდან არა ერთი და ორი უმწიკვლო პატრიოტი მღვდელმთავარი და სხ. და სხ. აი, ეს ვოსტორგოვი დღეს ქართველთა ეროვნულ დღეობაზე ქართულად ასრულებს მღვდელ-მსახურებას და ჩვენი ახალგაზრდობა მას ტაშს უკრავს!

ჩვენ ირ ვიცით რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ეს ახალგაზრდობა; ვინ არიან, რა ფიზიონომიის ხალხია, მაგრამ ვინც უნდა იყვნენ და რა მოსაზრებაც უნდა ჰქონდეთ, თუ ეს ამბავი მართალია, უკიდურეს განცვიფრებისა და გულისწყრომის მეტს არაფერს უნდა მოელოდნენ ყოველი შეგნებული ქართველისაგან. როგორ! ჩვენ თითონ ვაძლევთ ვისმეს შემთხვევას ჩვენი ერის გასაგმირად მომართული მარჯვენა შეახოს ჩვენს სიწმინდეს, ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას!! თუ ეს გულ-უბრყვილობით და შეუგნებლობით მოუვიდათ, ვაგლახ მათ შეგნებას! თუ „პოლიტიკური" და „ტაქტიკური" მოსაზრებით ჩაიდინეს, ვაი იმ უბადრუკს პოლიტიკას, რომელიც ნებას აძლევს და უკარნახებს დამცირების და შეურაცხყოფის დავიწყებას... ან იქნება ეს დემონსტრაცია იყოს ჩვენი ეროვნული გამოღვიძებისა და თვითშეგნების წინააღმდეგ მიმართული?! რა არ შეიძლება მოხდეს ჩვენი ერის ამ საბედისწერო ეპოქაში: როდესაც ორგანიზმი დაავადებულია, ყოველი შხამიანი მუწუკიც, მეტხორციც ძლიერდება და ღრღნის სხეულს. ნუ თუ ეს ცნობა ვოსტორგოვზედ მართალია?! და თუ მართალია, ამ მოკლე ხანებში უთუოდ უნდა ველოდეთ ქართველების ხარჯზე მამა ვოსტორგოვის ახალს ავანტიურას. არა, ეს ნამეტანია!!

**ს. და—ნი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

სხვათა შორის მეც დავესწარი იმ კერძო კრებას, რომელიც ამას წინად მიიწვია ქუთაისის თავად-აზნაურობის მარშალმა დ. ო. ნიჟარაძემ სხვა და სხ. საჭირბოროტო საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად, და როგორც სხვა დროს, ახლაც აღვნიშნე, რომ საჭიროა, ქართველ გლეხობასაც ჰქონდეს ერთი ეგრედ წოდებული საგლეხო ბანკი, რომელიც გაუადვილებს უმამულო გლეხებს მიწის შეძენას. ამგვარ ბანკს შეიძლება „საფუძვლად დაედოს ის „გამოსაკვები თანხა", რომელიც იურიდიულად ქართველი გლეხის საკუთრებას შეადგენს, მაგრამ მოუხმარებლადა გდია ხაზინაში (ორ მილიონზე მეტი). ბანკს უნდა ჰქონდეს აგრეთვე სამელიორაციო დანიშნულებაც, მისი გამგეობა უნდა იყოს გლეხების მიერ არჩეული და სხ. უმთავრესი მისი დანიშნულება ისეთივე უნდა იყოს, როგორიცა აქვთ რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკებს, ე. ი. მამულების შეძენა.

მე ძლიერ გამიკვირდა როდესაც ბ-ნმა გრიგოლ გველესიანმა უარჰყო ჩემი წინადადება. მან სთქვა: ჯერ ერთი, ამგვარი ბანკის დაარსების ნებას არ მოგვცემენო, მეორე, საგლეხო ბანკებმა ზარალი მოუტანეს რუსეთის გლეხებს და, მესამე უმჯობესი იქნება სამელიორაციო ბანკის დაარსებაო.

მაგრამ, თუ კი საგლეხო ბანკის დაარსების უფლებას არ მოგვცემენ, სამელიორაციო ბანკის დაარსების უფლებას რატომ-ღა მოგვანიჭებენ? მეორე, რუსეთის საგლეხო ბანკებმა რომ დიდძალი მამული შესძინეს იქაურ გლეხობას, ამას მოწმობს ტუგან-ბარანოვსკის გამოკვლევა და, თუ რუსეთის მემარცხენე გაზეთები ჰგმობენ ბანკს იმიტომ, რომ ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება, იძულებულია, უკანვე დაიბრუნოს მიწები იმ გლეხებისაგან, რომელნიც ვალს არ იხდიან, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს რომ ბანკი არ არის პანაცეა, მხსნელი ყოველი სოციალური უბედურებისაგან. ამას გარდა, კრებაზედაც აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ პოზნანის საჰერცოგოში სწორედ საგლეხო სააღგილმამულო ბანკებმა (ეგრედ წოდებულმა პარცელლიარულმა ბანკებმა) შეარჩინეს ხელში პოლონელებს ტერიტორია. და, არა მგონია ჩვენებური გლეხი ჩამოუვარდებოდეს მომჭირნეობით თუნდა პოლონელ გლეხს. პირიქით, ჩვენი გლეხი იმდენად მხნე, გამრჯელი და ფხიზელია, რომ თვითონ, უბანკოდაც

კი იძენს მამულებს, მაგ. კაბალში, აბხაზეთში და სხ.

კიდევ ვიტყვი: ძლიერ მიკვირს, რომ ის, ვისაც მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული ეროვნული ტერიტორიის დაცვა, უარჰყოფს ერთად-ერთს საკრედიტო დაწესებულებას, რომელსაც შეუძლია მხოლოდ აასრულოს ეს დიდი საქმე.

დასასრულ არ შემიძლია ჩემი გულის წყრომა არ გამოვუცხადო „ერის“ კორესპონდენტს (იხ. „ერი“ 22 იანვ.), რომელიც მომაწერს იმას, რაც არ მითქვამს და არც არასოდეს მქონია გულში: ვითომ „მთავრობის ტიპის ბანკის“ დაარსების საჭიროებას ვაღიარებ! არ-მესმის, რას ნიშნავს ეს „მთავრობის ტიპის ბანკი“ და უმორჩილესად ვსთხოვ კორესპონდენტს განმარტოს, რის თქმა უნდოდა და რისთვის მომაწერა ის, რაც არ მითქვამს და ვერ ვიტყოდი.

**ვასილ წერეთელი.**

ქუთაისი 22 იანვ.
1914 წ.

# პ რ ე ს ა

წარსულ კვირას ჩვენმა პრესამ წერილები უძღვნა იმ ახალ შეჯგუფებას, რომელიც ხდება ჩვენს ცხოვრებაში. მართლაც რომ ჩვენში ეხლა არ არსებობს არც ერთი ჯგუფი და არც ერთი პარტია, საიდანაც ხალხი არ გამორბოდეს. გამორბიან ფედერალისტების ჯგუფებიდან, გამორბიან დასელების წრეებიდან. სად მოიყრიან ეს ელემენტები თავს, არავინ არ იცის, მაგრამ ზოგიერთი გაზეთები ფიქრობენ, რომ ეს ელემენტები ,,კლდეს“ შეაფარებენ თავსა.

ასე, მაგალითად, ,,თემი'' სწერს:

ამ მხრით ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დიდი მოძრაობაა ამ ხანად ეგრედ წოდებულ ჩვენს ზომიერ-საზოგადოებრივ ელემენტების წრეებში. საზოგადოთ უნდა ვაღიაროთ ის უცნაური მოვლენა, რომ ამ ელემენტებს აქამდის ვერ მოეწყოთ ჯეროვანად თავიანთ შეჯგუფების საქმე. მათი დაქსაქსვა უტყუარი ფაქტი იყო აქამდინ მაინც. ახლა ეს ელემენტები ამოძრავდნენ. გამოდიან იმ პარტიებიდან და იმ ჯგუფებიდან, რომელშიაც აქამდე იმყოფებოდნენ. მათ დაეტყოთ შესამჩნევი ცვლილება და ეს უკანასკნელი გამოისახა უპირველეს ყოვლის ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში.

ჟურნალ ,,კლდის'' თანამოაზრეთა გამოსვლა ,,სახალხო გაზეთის'' წრიდან მეტად თვალსაჩინო და საყურადღებო მოვლენაა, რომ არ აღვნიშნოთ იგი. ჩვენის აზრით ამ ყმაწვილკაცობის პირდაპირი, ნიღაბ-ჩამოუფარებელი გამოსვლა სწორედ მოსაწონია. ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი მაშინ არის პატივსაცემი, როცა ის წრფელად აღიარებს თავის რწმენას და არ თვალთმაქცობს.

ჩვენ ამას გულახდილად ვაღიარებთ. ხშირად მოგვსვლია შეტაკება ,,კლდელებთან'', უეჭველია, შემდეგშიაც მოგვივა, მაგრამ, რაც ცხადია და უტყუარი, იმის დამალვა შეუძლებელია.

ამასვე სწერს თითქმის „სიმართლის ხმაც''.

გაუმარჯოს ზომიერ პარტიას, ძირს სოციალისტები! —აი დროშა, რომელიც ჟურნალმა ,,კლდემ'' კაი ხანია ააფრიალა. „კლდის“ პუბლიცისტები გულწრფელი და გაბედული ხალხია!

მათი ლაშქარი იზრდება.

როგორც მკითხველი დაინახავს ორივე გაზეთი მარტო ,,ზომიერებით'' ხსნის ამ ელემენტების გამოთიშვას უწინდელ პოზიციებიდგან. მაგრამ ეს დახასიათება სრული არ არის. განა უკიდურესობას გამოექცა ივ. გომართელი, თუმცა მას ,,კლდეში'' არ შეუფარებია თავი? ან განა ფედერალისტები ისეთ უკიდურეს შეჯგუფებას წარმოადგენენ, რომ იქიდან ვინმე უკიდურესობას გამოექცეს და ზომიერებას შეაფაროს თავი? ჩვენ ვფიქრობთ, ზომიერების გარდა აქ დიდ როლს თამაშობს ეროვნული პროგრამმა, რომელიც არც სოციალ-დემოკრატებს უყვარგათ, არც სოციალ-ფედერალისტებს.

აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: მართალია ჩვენ ვართ ზომიერები სოციალურ პოლიტიკაში, მაგრამ ეროვნულ პოლიტიკაში ჩვენ ვიქმნებით უკიდურესი რადიკალები.

* *
*

გაზეთ „ერმა“ ფრიად საყურადღებო ცნობა მიაწოდა მთელს საქართველოს:

„ამ დღეებში ახლად გუბერნიის წინამძღოლად დამტკიცებულმა თავადმა დავით ოტიასძე ნიჟარაძემ საახნაურო გიმნაზიის დარბაზში მოიწვია ქუთაისში ამ ჟამად მყოფნი თავად-აზნაურნი, ინტელიგენციის, ვაჭრებისა და ებრაელების წარმომადგენელნი. თათბირს ორასამდი კაცი დაესწრო. 8 საათზე წინამძღოლმა თათბირის დაწყება გამოაცხადა და მიიწვია დამსწრენი, თავისი აზრი გამოეთქვათ

ჩვენში მომწიფებულ სხვა და სხვა საკითხისა და საჭიროების შესახებ. სხვათა შორის, თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა: ამ ბოლო ხანებში ჩვეულებად გადაიქცა, რომ უეჭველად პოლიტიკური მრწამსი უნდა გამოსთქვა. სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევად რომ ვიგზავნებოდი ჩვენი გუბერნიის თ.-აზნაურთაგან, იქაც კი შემომიჩნდებოდნენ ხოლმე—თქვენი ,,კრედო'' სთქვითო. აი ამ დღეებში მე შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას და უპირველეს ყოვლისა, თქვენ მოგმართეთ. დღეს აქ მოვიწვიე ჩვენი საზოგადოების სხვა და სხვა წრის ხალხი და მინდა მათი აზრი გავიგო ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა საკითხის შესახებ. ეს აზრი დაედება საფუძვლად ჩემს მოქმედებას. უპირველეს ყოვლისა მე ქართველი ვარ და ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა ვაყენებ. აი, ბატონებო, ჩემი კრედო. მე, რასაკვირველია, პოლიტიკის გარეშე ვდგევარ, მაგრამ ეროვნული საქმისთვის არაფრის წინაშე არ დავიხევ. ვფიქრობ, ყოველი ქართველი, რა მიმართულებასაც უნდა ეკუთნოდეს, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს სიყვარულით არის გამსჭვალული, თუ სიტყვით არ ამბობს, გულში, უეჭველია, მაინც გრძნობს, და, აი, ამ სამშობლოს სიყვარულმა ყველა უნდა შეგვაერთოს. თუ მტკიცე საზოგადოებრივი აზრი ზურგს გამიმაგრებს, მერწმუნეთ, შეიძლება, რამე გაკეთდეს".

დიახაც შეიძლება ბევრი გაკეთდეს თუ ყველა ქართველი თავის ალაგას და თავის სფერაში ისე იმუშავებს, რომ **საერთო** საქმეს შეუწყოს ხელი; და ამ მხრივ გულწრფელი მადლობის ღირსია ქართველობისაგან თ-დი ნიჟარაძე, თუ მისი გაბედული სიტყვა გულწრფელია და მომავალ ნაყოფიერების მომასწავებელი".

„საქმეთა შენთა გამხილონ შენ".

# მელა და წერო

(არაკი).

მელამ წერო სადილად მიიპატიჟა, ოსპი მოუხარშა და თეფშზე დაუსხა. ორთავ ჭამა დაიწყეს. მელა ენით სთქვლეფავდა, და წერო რას შესჭამდა თეფშზე,—თითო-თითოს თუ აიღებდა.

მეორეს დღეს წერომ მიიწვია მელა. მუხუდო მოუხარშა და პირვიწრო ქოთანში ჩაუსხა.

მელამ ქოთანი წააქცია, მუხუდო გადმოაბნია და სულ შეჭამა. დარჩა ისევ წერო მშიერი.

*

შვილო, ნურც მელიას სტუმრობა გინდა, ნურც მელიას მასპინძლობა.

**რიშ ბაბა.**

# ღია წერილი დრამატიულ საზოგადოების გამგეობისადმი

მოწყალეო ხელმწიფენო! პარასკევს, ოცდაოთხს ამ თვისას საღამოს რვა საათზედ, მე გიახელით სახაზინო თეატრში, იმ იმედით, რომ სარედაქციო ბილეთს თქვენგან ბოძებულს, 66 ნომრით ამ წარმოდგენაზედაც ძალა ექმნებოდა. კასსაში მითხრეს, რომ ჟურნალ კლდისთვის არავითარი ადგილი არ არის შენახულიო. განცვიფრებულმა მე მივმართე შესავალში მდგომ მორიგ წევრს თქვენის კოლლეგიისას ბატონ არჩილ ავალიშვილს, მან მითხრა, რომ თუ კასირმა ბილეთი არ მოგცა, სჩანს თქვენი რედაქციის სხვა წევრს წაუღიაო. ბ. ავალიშვილს მაშინ მე უჩვენე სარედაქციო ბილეთი, ურომლისოდ კასიდან ბილეთის გამოტანა ყოვლად შეუძლებელია. ამ დროს გვერდზე ჩაგვიარა თვით კასირმა, რომელმაც დაამოწმა, რომ ჟურნალ კლდეს ამ საღამოს ადგილი არა აქვსო. როდესაც კვლავ შევეკითხე ბ. ავალიშვილს ამ უწესრიგობის მიზეზად, მან დარდიმანდულად მიპასუხა—რაკი არ არის სჩანს არ არის! მე ვიმეორებ სიტყვა-სიტყვით ბ. ავალიშვილის სიტყვებს. ამ დროს გამომელაპარაკა, თუ არა ვსცდები, გაზეთ „ფიქრის" თანამშრომელი ბატონი ა. მან მითხრა, რომ იგიც ჩემს დღეში იყო.

— ვინ არის წარმოდგენის გამგე? ვკითხე ბ. ავალიშვილს.

- იოსებ გედევანიშვილი.

- არ შეიძლება გამოუხმოთ.

- მიბძანდით სცენაზედ, მაგრამ გთხოვთ ქუჩიდან მოუაროთ, ე. ი. მე უნდა მომეარნა რამდენიმე ქუჩა და ისე შევსულიყავ სცენაზედ. მაგრამ ბ. ავალიშვილს დაავიწყდა ის გარემოება, რომ ვისაც პარტერში არ უშვებენ, იმას არც სცენა-კულისებში შეუშვებენ.

როდესაც მე პროტესტი განვაცხადე ასეთ წეს-

რიგის შესახებ, ბ. ავალიშვილმა ვითომდა თავაზიანობა გამოიჩინა და მითხრა:

— მე შემიძლიან მხოლოდ ერთი რამ მოგიხერხოთ. შეგიშვათ მეორე იარუსზედ. ასეთი „თავაზიანობა“ მე შეურაცხყოფად ჩავთვალე და სათეატრო დარბაზში შევედი თავმჯდომარის სანახავად.

თავმჯდომარეს თავად ნ. დ. ერისთავს მე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და თან პროტესტი გამოვაცხადე იმის შესახებ, რომ ბატონი არჩილ ავალიშვილი, საკმაო მზრუნველობით არ მომეპყრო, როგორც ქართული გაზეთის წარმომადგენელს. ალბათ იმიტომ, რომ თავის კოლლეგიის უტაქტო მოქმედება გამოებრუნებინა, თავმჯდომარემ, პირველ რიგში გუბერნატორის ადგილი შემომთავაზა. ამ რიგად მეორე იარუსიდან ახლა გუბერნატორის ადგილზედ გამამწესეს. მე ახალ შეურაცხყოფად ჩავთვალე, რომ ქართულ გაზეთის წარმომადგენელი, ქართულ წარმოდგენაზედ „კონტრაბანდით“ გუბერნატორის ადგილზედ მჯდარიყო და მადლობის შემდეგ სახლში წასვლა დავაპირე, მაგრამ გზაში ახლო ბატონი იოსებ გედევანიშვილი შემხვდა. რადგანაც წარმოდგენის გამგედ ის დამისახელეს, მე მასაც მივმართე აეხსნა ჩემთვის ამ სკანდალის მიზეზი.

ბატონმა გედევანიშვილმა მოკლედ ის მითხრა, რომ სახაზინო თეატრის დირექციამ ჟურნალ კლდისთვის და სხვა ქართულ გაზეთებისთვის ადგილები არ მოგვცაო და სადღაც სიბნელეში მიიმალა.

მიიმალა სწორედ ისე, როგორც იმალებიან ფერიები მის „სინათლეში“.

გადამხდა რა ყოველივე ეს, ნება მომეცით, მოწყალეო ხელმწიფენო, შევეკითხოთ თქვენს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც ქართულ წარმოდგენების გამრიგებელთ, შეგიძლიანთ თქვენ ქართველ ხალხს მოუპოვოთ მართლა რამე სინათლე, როცა უბრალო სკამიც კი ვერ მოგიპოვებიათ ქართულ გაზეთებისთვის სახაზინო თეატრში.

**შ. ამირეჯიბი.**

---

ამისთანა შეუწყნარებელ ფაქტის შემდეგ, ჟურნალ „კლდის“ რედაქცია უბრუნებს დრამატიულ საზოგადოებას მის მიერ გადმოცემულ ბილეთს... მით უმეტეს, რომ, როგორც გამოირკვა, პრესის წარმომადგენელისათვის ყოველთვის შესაძლებელი ყოფილა უბილეთოდ გუბერნატორის ადგილზედ კონტრაბენდათ ჯდომა.

რედაქცია.

---

# ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ამ ოციოდე წლის წინად საეკლესიო საბუთებში ვიპოვნე ქუცნა ამირაჯიბისაგან (XIV საუკ.). აღნუსხული საგვარეულო ამბები და ადაპები. ეს საბუთები ბროსსესაც ჰქონია ხელში, მაგრამ ერთის გარემოებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რომელიც შუქსა ჰფენს ჩვენს ისტორიას, ავსებს და ასწორებს მეცამეტე საუკუნის ისტორიას და ამასთან მეტად საყურადღებო ხდება ჩვენის ეროვნულ გათვითცნობიერებისათვის.

მოხსენებული საბუთები ჩვენ შეუმოკლებლად შევიტანეთ „ქრონიკების“ მეორე წიგნში (გვ. 280—213), და ვრცელი ახსნა და განმარტება დამზადებული გვაქვს მესამე წიგნისათვის.

ქუცნა ამ საბუთებში აგვიწერს თავის გვარეულობის ღვაწლს საქართველოსთვის და სხვათა შორის დაუფასებელ ცნობას გვაძლევს რუსუდან მეფის (+1245 წ.) და სპარსეთის განთქმულ შაჰის ჯალალ-ედდინის შორის მომხდარ ბრძოლაზე, უკანასკნელს მათს შეტაკებაზე. ამ შეტაკების შემდეგ ძლეულს მრისხანე შაჰს სამუდამოდ, დაუტოვებია საქართველო:

ჩვენს მატიანეში ვრცლადაა მოთხრობილი ჯალალ-ედდინის შემოსევის ამბავი და ის აუარებელი მწუხარება, რომელიც მან საქართველოს მიაყენა ექვსის წლის პარპაშობის დროს და განსაკუთრებით თბილისის ქალაქს; მაგრამ მატიანე სულ არას იტყვის იმ ბრძოლაზე, რომელშიაც ქართველებს დაუმხიათ ეს მრისხანე შაჰი და მისის ძლიერებისთვის ბოლო მოუღიათ,

ამ დიდს ნაკლს მატიანისას ავსებს ქუცნა ამირეჯიბი, ის მოგვითხრობს მეტად მოკლედ, მაგრამ საგულისხმიეროდ, რომ რუსუდან-მეფეს დიდი ჯარი შეუყრია და თავს დასხმია ჯალალ ედინ შაჰის მხედრობას. ამ ჯარის უფროსად ყოფილა ერთი ამირაჯიბი, წინაპარი ქუცნასი. „მინდორს შევიბენით და ამოვწყვიტეთო“! მოგვითხრობს ქუცნა; შაჰის მთავარი დროშა ავიღეთო და თვით შაჰის თავიდან თაჯი (რკინის ქუდი) მოვაგდებინეთო: „მოვართვით რუსუდან-მეფეს **დროშა და თაჯი თვითვან მალლისა სულთნისა** და გვიყო წყალობა“... (გვ. 210). მერე ჩამოთვლის რაც წყალობა უქმნია რუსუდან-მეფეს ამირეჯიბისთვის და დასძენს, რომ დროშა

შევსწირეთო „მეხოიშნესა ჩვენსა" — ულუმბიის ღვთისმშობლის ხატს და „თაჯი—მრავალძალს", ესე იგი მრავალძლის მონასტერს. რომელიც რაჭა-იმერეთის საზღვარზეა მაღალ მთაზე.

ხუთის წლის წინად გავემგზავრე მრავალძლის მონასტერში (ეს ამირეჯიბის მონასტერი ყოფილა XIII საუს.) და სიხარულით გული ამევსო, რადგან იქ ვნახე აქამდი შენახული ეს ჯალალ-ედდინის თაჯი. სამწუხაროდ ჩვენის ქართულ დაუდევრობისა და შეუგნებლობისა გამო ეს თაჯი მიწაზე გდებული და დიდათ დაზიანებულა: ხელის გულისოდენა ადგილი ჟანგს ამოუჭამია და სამკაულებისაგან სრულიად გაძარცულია. მაინც ბჭყვიალა ფერი არ დაუკარგავს—შაჰის თაჯს.

ჩემი გაკვირვება-სიხარული გაორკეცდა, როდესაც იმავე ტაძარში მღვდლებმა მომიტანეს **დროშაცა**—ის დროშა, მრისხანე დროშა ჯალალ-ედდინისა, რომელიც ამ გაამპარტავნებულ, მსოფლიო ისტორიაშიც დიდად ცნობილს სულთანს, ამირეჯიბმა ძლიერ მკლავიდან ამოგლიჯა... რათქმა უნდა, დღეს ეს დროშა სრულიად გაშიშვლებულია სამკაულებისგან და ცარიელს გრძელ ჯოხს წარმოადგენს, თავზე შუბ-წამოცმულს.

ცხადია, რომ ულუმბიის მონასტრიდან, რომელსაც ამირეჯიბთ პირველად შესწირეს ვს ხვანთქრის დროშა, თემურლენგის შემოსევის დროს, ეს ძვირფასი ეროვნული ჩვენი საუნჯე ამირეჯიბებს აქ მრავალძალში გადმოუტანიათ შესანახად, რადგან ულუმბია ძირიანად დაარღვია თემურლენგმა, რომელსაც ქუცნაც მოგვითხრობს და მას აქეთ ხუთის საუკუნის განმავლობაში აქ შენახულა.

ამ ნაირად ორი დიდი საეროვნო განძი აღმოჩნდა—ჯალალ-ედდინის დროშა და თაჯი! ეს რომ ევროპის კულტურულ ხალხში მომხდარიყო, იმ წამსვე მხატვრები, ფოტოგრაფები და არქეოლოგები ქვეყანას გააყრუებდნენ ამ საეროვნო განძის აღწერით. ჩვენი ეროვნული გრძნობა კი ალბად მომკვდარუნებულია, რომ თუმცა საკმაო ვრცელი წერილი მოვათავსე 1910 წელს „Закавказская рѣчь"-ში, იგი სრულიად შეუნიშნავი დარჩა...

ახლა მაინც ითავოს ჩვენმა ეტნოგრაფიულმა საზოგადოებამ და ეს ეროვნული საუნჯე მუზეუმში მოათავსოს, ან მისი ფოტოგრაფიული სურათები მაინც გამოსცეს და გაავრცელოს. რამდენი საომარი ნადავლი ანუ „ტროფეი" ინახებოდა გელათში, მარტვილში, ილორში და სხ., მაგრამ დღეს თითქმის ყველა დაკარგულია და რაც დაგვრჩენია იმას მაინც მოუაროთ, სანამ ეს ნატამალიც ხელიდგან არ გამოგვეცლება ამ ქართველ კულტურის და ეროვნობის ნგრევის ჟამს, ამ ჩვენს გადაგვარების საზარელ ხანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჟორდანია.

# იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების მომავალი კრება

მე შევხვედრივარ ისეთ სკეპტიკოსს, რომელსაც არა სწამს რა ამ ჩვენს დროში ძლიერ გამრავლებული კრებებისა.—მხოლოდ აუარებელი ფული იხარჯება და ისედაც ღარიბ ხალხს, იმ ორიოდე გროშსაც აცლის, რომელსაც იგი იდებს „თავის წარმომადგენლის" გასაგზავნადო. შეიკრიბებიან, ვსთქვათ, ექიმები, მასწავლებლები და სხ. სადმე ერთ დიდ ქალაქში, ილაპარაკებენ, ილაპარაკებენ, გამოიტანენ რადიკალურ დადგენილებათ და ისევ თავიანთ სოფლებს უბრუნდებიან და არც ჰგონიათ დიდათ სასარგებლო რამ გააკეთესო.

თუ ვისმესთვის სასარგებლოა ეს კრებები, ისევ მხოლოდ იმ „წარმომადგენლისათვის", რომელსაც ხალხი ფულებს აძლევს და ერთ პროვინციიდგან დიდ ქალაქში გზავნის; რაც შეეხება საქვეყნო საქმეს, თუ გნებავთ მეცნიერების ინტერესებსაც, ამ კრებებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ. თუ ახალი რამ გსურთ გვაუწყოთ, გამოიკვლიეთ რამე და აღმოაჩინეთ ახალივე, აგერ აუარებელი ჟურნალ-გაზეთობა და რაღა საჭიროა ათასი მანეთობით ამ კრებებზე ხარჯვაო. ასეთ „ველურ" აზრებს მიზიარებდა ჩემი ნაცნობი, მაგრამ ისეთი შემცდარი აზრიც არ მოიპოვება, რომელსაც სიმართლის ცოტა რამ მაინც არ ეცხოს და მართლადაც სახალხო განათლების მოღვაწეთა შესანიშნავ კრებასაც, რომ შევეხოთ, რა გვითხრა მან ახალი, რა მოგვცა ისეთი, რომლის მიღებაც სხვა რიგადაც არ შეიძლებოდა?! განა ამ კრებამდისაც არ ვიცოდით რომ სოფლის მასწავლებელი თითქმის ერთად ერთი სადი პროგრესიული და გულწრფელი დემოკრატია? განა აქამდისაც არ ვიცოდით, რომ ყველა ეროვნების წარმომადგენელი დაინტერესებულია დაიცვას თავისი ენა, სკოლა, კულტურა, თავისი ეროვნული სახე? რაში გამოვიყენებთ იქ მიღებულ „რეზოლუციებს", თუ კი სიტყვა სიტყვად დარჩება, თუ კი მისი განხორციელებისათვის მდგომარეობის შეცვლას არავინ შეეცდება? და აი სწორედ აქ არის ჩემი ნაცნობის მსჯელობის სუსტი მხარე. არსებულ სინამდვილეში დაინტერესებუ-

ლია, არსებულს წეს-წყობილებას იცავს მთელი ორგანიზაციები, მთელი კოლექტიური დაწესებულებანი, რომელიც კი განვითარებულ სახელმწიფოთა მოეძებნება და მის შეცვლას, მის რეორგანიზაციას ნებით იგი არავის დაუთმობს. კაცობრიობა ორ უმთავრეს ბანაკად იყოფა. ერთი სულ მუდამ არსებულს ურთიერთობას ებღუჭება, იგი მიაჩნია საუკეთესოდ, წინ განვითარებისაკენ არ იხედება და ამ არსებულის ძველების გამაგრებაშია; მეორე ძალა კი მოუსვენარი, მაშენებელი ძალაა, სულ მუდამ მბორგავი, სულ მუდამ წინ მსრბოლი, იგი არსებულით არას დროს არ არის კმაყოფილი და სულ ახალი იბურობს მის გონებას. ამათი, ამ ორი ძალის ბრძოლაშია ისტორიის შინაარსი და ესა თუ ის ეპოქა იმისდამიხედვით დახასიათდება, თუ რომელი ძალა იმარჯვებს. ამ მაშენებელის, განმანახლებელის როლს, ამ მძიმე ტვირთს თვით პიროვნება ვერ იკისრებს განსახორციელებლად. იგი აზრის მომცემია, იგი წინამძღოლიც შეიძლება გაგვიხდეს, მაგრამ აღნიშნულ-სასურველ წერტილამდე, მდგომარეობამდე მხოლოდ საერთო ძალით, საერთო შრომით თუ მივაღწევთ. მანამდის კი სანამ ჩვენგან დასახულ მიზნის განხორციელებას შევუდგებით, ის აზრები, ის იდეალები საკმარისს ვრცელ მასსას უნდა გაუჯდეს ძვალ-რბილში; ეს აზრები უნდა იმდენად შეითვისოს იმ მომქმედმა ძალამ, რომელიც შესცდება მის განხორციელებას, რომ მისი განხორციელება აუცილებელ საჭიროებად დაისახოს. და ეს კრებები სწორედ იმიტომ არიან დიდმნიშვნელოვანნი, რომ ეს სოლიდარობა, ეს ერთგვარი შეგნება „საერთოსი", ერთი მიზნით გამსჭვალვა უფრო შესაძლებელია იქ. იქ ერთმანეთს ეცნობიან, ეცნობიან სხვა და სხვა კუთხის მდგომარეობას და, ერთი აზრით გამსჭვალულნი, უბრუნდებიან პროვინციას. კრებაზე გათვითცნობიერებული, ადგილობრივ მეტს ენერგიას, მეტს მოქმედებას გამოიჩენს და ეცდება რაც შეიძლება მეტი თანამგრძნობი მოუპოვოს კრების გადაწყვეტილებას. თუ თითო-თითოდ ჩვენ გამბედაობა გვაკლია და იმისთვისაც ვერ ავიმაღლებთ ხმას, რაც ჩვენს რწმენას შეადგენს, როდესაც ერთად შევიკრიბებით და ცოტა მეტს ძალასაც ვიგრძნობთ, ეგებ მაშინ მაინც შევებრძოლოთ უსამართლობას.

ჩვენმა სამღვდელოებამ დიდი ხანია დაჰკარგა, დამოუკიდებლობასთან ერთად, თვით სახეც კი და ჩვენს დროში არც კი შეიძლება „ქართულ სამღვდელოების" შესახებ ლაპარაკი, რადგანაც როგორც ასეთი, როგორც ერთი და მჭიდრო კავშირი, ერთი ინტერესებით გამსჭვალული ერთეული აღარც კი არსებობს. დიდი ხანია დაირღვა ის კავშირი, რომელიც აერთებდა და ამტკიცებდა ერთს წოდებას, დაირღვა ორგანიზმი, გაჰქრა საერთო ინტერესებიც და დღეს დღეობით ვიცნობთ ამა და ამ მღვდელს, ამა და ამ არქიელს, ამა და ამ ბერ-მონაზონს, მაგრამ როგორც არ არსებობს ქართული ეკლესია, აგრეთვე არ არსებობს არც ქართველი სამღვდელოება. მხოლოდ კერძო პირთა კეთილ-დღეობას ეწირება დღეს-დღეობით მთელი ერის რწმენაც და მისი თავისუფალი ეკლესიაც. ეს უკიდურესი განვითარება თვით საზოგადოებაშიაც თვალსაჩინოა და ხომ გაგიგონიათ: „როგორიც ერის — ისეთივე ბერიო". თანამედროვე ქართული სამღვდელოება ყურმოჭრილი მონაა არსებული მდგომარეობის და მხოლოდ იმას ცდილობს, თავისი კერძო საპირადო ინტერესები დაიცვას, თავი გამოიკვებოს, ჯიბე გაისქელოს. თუ საქართველოში მოიძებნება ჯგუფი, რომელსაც სრულიად არ აინტერესებს საერთო, საერო, საქვეყნო საქმე, ასეთი ჯგუფი უაღრესად ჩვენი სამღვდელოებაა, ეს კი იმის ბრალია, რომ ერთი მხრით არ არსებობს ერთი ერთეული, რომელიც შეაჯგუფებდეს და ერთი მიზნისაკენ მიმართავდეს ცალკე პიროვნებათ, და მეორე მხრით კიდევ იმიტომ, რომ არ არსებობს შეგნება, არ არსებობს იდეა, რომელმაც შეაჯგუფოს, რომელმაც აღიტაცოს ცალკე თითოეული და აამოქმედოს. ყველა ჯგუფზე მშიშარა, ყველა ჯგუფზე ანაციონალური ამ ჟამად ჩვენი სამღვდელოებაა. არავითარი მაღალი იდეალი, არავითარი საქვეყნო სამსახური არ აინტერესებს სამღვდელოებას, როგორც ერთეულს და მისი დამახასიათებელი თვისებაა ხალხის ზურგზე მეტ ხორცად და პარაზიტად არსებობა. თუ ოდესმე ჩვენი სამღვდელოება ერთი აუცილებელი ბურჯი იყო ეროვნული აღორძინებისა, ეროვნული კულტურისა, თუ იგი ინახავდა და ამშვენიერებდა ჩვენს ენას, ჩვენს მწერლობას; თუ მას საერთო ეროვნული ინტერესებიცა ჰქონდა, დღეს ეს გაჰქრა და გაჰქრა პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლით, პოლიტიკური ცვლილების წყალობით. ჩვენი ერის პოლიტიკურად განადგურებასთან, არა მარტო სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება განადგურდა, არამედ თითქმის ჩვენს კულტურაზე ადიბეჭდა ჩვენი დაავადების, ჩვენი მოქანცვის ბეჭედი. ამიტომ, სხვათა შორის, ქართული ეკლესიის თავისუფლებაც აუცილებელი საჭიროებაა არა მარტო დაცემულ სარწმუნოების აღსადგენად, არამედ იგი აგრეთვე მძიმე ტვირთს მოხსნის ხალხს, რადგანაც სამღვდელოება მისი სარჩენალი აღარ იქნება. თუ სომხობას დაუბრუნდა ჩამორთმეული საეკლესიო ქონება, რატომ ჩვენ არ შეიძლება დაგვიბრუნდეს? ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი, მარტო დოგმატიური თვალსაზრისით რომ იყოს საინტერესო და მარტო კანონიური წესები იყოს გადალახული, მაშინ რასაკვირველია ისეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, როგორც ეხლა, როდესაც შელახულია მისი ეროვნული ფიზიონომია, რომლის აღდგენას დიდი მნი-

შენელობა ექნებოდა ჩვენი გაერთიანებისათვის. მართალია, ავტოკეფალიის აღდგენა ცოტათი მაინც ხელს შეუწყობს დაცემულ სარწმუნოების აღდგენას, მართალია ისიც რომ სამღვდლოება ხალხის სარჩენი აღარ იქნება, რაკი თავისი სიმდიდრე დაუბრუნდება (ავტოკეფალიის აღდგენასთან, ჩამორთმეული ქონებაც უნდა დაუბრუნდეს ეკლესიას), მაგრამ ამასთანავე და უმთავრესად, თავისუფალი ქართული ეკლესია იქნება სხვათა შორის ქართველთა შემაკავშირებელი, საკუთარი ფიზიონომიის მქონებელი და ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ეროვნულს შეგნებას და ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის გამოხატვას. მართალია ჩვენი ეკლესია ვერასოდეს ვერ შეასრულებს ქართველებისათვის იმ როლს, რომელსაც სომხებისა, კათოლიკებისა, მუსლიმინებისა და სხ. თავთავიანთ ერისათვის, რადგანაც ჩვენ გაბატონებულ ერთან ერთმორწმუნენი ვართ და მამასადამე ჩვენი ეკლესია არ გვანსხვავებს მისგან; თუ უწინ ყოველი კუთხით მუსულმანთა სარწმუნოებით გარშემორტყმული საქართველო მეზობლებისაგან ძირიანად განსხვავდებოდა და სხვებში გათქვეფას სარწმუნოებაც ეწინააღმდეგებოდა, დღეს ჩვენი სარწმუნოება პირიქით ხელს უწყობს ასეთს გათქვეფას, ასიმილიაციას; მაგრამ რამდენადაც იგი გაამეფებს ქართულს ეკლესიაში ქართულს ენას, რამდენადაც იგი წარმოადგენს ცალკე, თავისებურს ეროვნულს, იგი ყოველთვის მოგვაგონებს ჩვენს თავს და იმით ხელს შეუწყობს ჩვენს გაოვითცნობიერებას. ამიტომაც არა თუ თვით სამღვდელოება უნდა იყოს დაინტერესებული ამ საკითხით, არამედ ყოველი ქართველი, რომელსაც აინტერესებს საკუთარი ერის მდგომარეობა. 28 იანვრისთვის დანიშნული ყოფილა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება, რომელსაც ყოველ საბლაღოჩინოდგან სამ-სამი კაცი დაესწრება. ჩვენ არ ვიცით რა საკითხები აქვს ამ კრებას განსახილველი, მაგრამ სულ ერთია, უნდა ვისარგებლოთ ყოველი მომენტით ვილაპარაკოთ ჩვენს საჭიროებაზედ, რადგანაც ბოლოს და ბოლოს იმდენად შევეთვისებით იმ საჭიროებათ, რომ ერთგვარი მიდრეკილება განმტკიცდება და ერთგვარ ფიქრს და გრძნობას მივეჩვევით. ჩვენ არა გვგონია, როდესმე ქართველმა სამღვდელოებამ თავი გამოიდოს და რაიმე რადიკალურ ზომებს მიმართოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, მაგრამ ისეთ შთაბეჭდილებას მაინც შექმნის ჩვენ „მესვეურთა", თვალში რომ ისინიც მიხვდებიან თუ რა დიდ-მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენთვის ეს საკითხი და არ აიძულებენ ქართულ ეკლესიას სხიზმამდე მისვლას.

ვისაც სასარგებლოდ მიაჩნია ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, ვინც დარწმუნებულია რომ ეს თავის მხრით ხელს შეუწყობს ეროვნული აღორძინების საქმეს, უთუოდ აშკარად და თავისი უფლების მტკიცე შეგნებით მხარი უნდა დაუჭიროს, მით უმეტეს, რომ ჩვენს მხარესაა როგორც უფლებრივი, აგრეთვე დოგმატიური სიმართლე და სამართლიანობა. იმერეთის სამღვდელოებამ უნდა იქონიოს მსჯელობა ამ საკითხზე — თუ გნებავთ მარტო დოგმატიური მხრით — და შესაფერი დადგენილებაც მიიღოს რუსეთის სამღვდელოების მომავალ კრებისათვის, რომელზედაც გადაწყდება ასე თუ ისე, ჩვენი ეკლესიის საკითხიც და ჩვენი სამღვდელოებაც მომზადებული უნდა დახვდეს ამ მომენტს.

**სამსონ დადიანი.**

# მ ც ხ ე თ ა

ბევრს სასიამოვნოს უჩურჩულებს მარტო გაგონება ამ სახელისა ჩვენს ყურს და გულს. მერე რიდ? მარტოოდენ წარსულით, რომელსაც გადაუქროლია მის თავზე, ცდილა მის აღგვას დედამიწის ზურგიდგან, მაგრამ, თუმც უკუღმართ წარსულს ბევრი მწარე უგემებია მისთვის, არც მას დაუყრია კარგი მის ბედის გამმწარებლებისათვის. ახსოვთ იგი სპარსელებს, ბერძნებს, რომაელთ და მრავალ მაწანწალა ერებს, რომელთაც ბევრჯელ ასდენიათ ბედდვარი მცხეთის კედლებთან და მის მიდამოებში. დიახაც ყველა ამის მომგონს მოწიწება და მოკრძალება ჰმართებს ამ სახელის წინაშე და, მაჰმადიანებსავით, დღე მუდამ მცხეთისკენ პირის მიქცევა.—ჩვენი მექა და მედინა ხომ მცხეთა და თბილისია?!.

მაჰმადიანებმა შესძლეს თავიანთი სიწმინდეთა დაცვა და შენარჩუნება, ჩვენ კი თბილისით სხვანი გავახარეთ და გავაბედნიერეთ, მცხეთა კიდევ უბრალო სოფლად გაქციეთ და დაუდევრობით მის სიკვდილს უწყობთ ხელსა; ის რაც ვერ მოახერხა შავბნელმა წარსულმა, ლამის მისმა დვიძლმა შვილებმა გავამყოფოთ. უწინ რაც უფრო დიდი კავშირები აღკვებოდა მცხეთას, მით უფრო ძლიერი სიცოცხლის ნაკადი ამოჩქეფდა ხოლმე მის წიაღიდგან. ამ საარაკო ძალამ მცხეთა წარმართი, ქრისტიან მცხეთად აქცია და ევროპის დიდს ცივილიზაციას მოასწრო. ეხლა მისი დასამარება შეუძლებელია, მაგრამ ღონდილით სიცოცხლე, ვაჰ თუ ხანგრძლივ სიკვდილს მოასწავებდეს. რა უყავით სვეტი ცხოველი, რომელიც მთელს საქართველოს უნათებდა გზას? გზები კი ყველა მცხეთისკენ მიიმართებოდა. მასზე მავალნი მცხეთაში ეზიარებოდნენ მსოფლიო კულტურას, აქ ხედავდნენ დიდებას და ჭკნობას მშობელ ერისას, აღფრთოვანებულნი ბრუნდებოდნენ აქედან შინ, რომ კვლავ განეგრძოთ გმირული მოწა-

მებრივი ცხოვრება თავიანთ საყვარელ სამშობლოში.

ეხლა რასა წარმოადგენს მცხეთა? დიდი სოფელია, სამი მღვდლის მრევლი: ორი მათგანი სვეტი ცხოვლის მსახური არის, ერთი სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებისა. მართლ-მადიდებელი მღვდლები, მთავრით და დიაკვნით შეადგენდა მცხეთის „შტატის" სამღვდელოებას. უფროსი დეკანოზის ღირსებისა უნდა იყოს უსათუოდ; მცხეთის მღვდლები სემინარია დამთავრებულნი გახლავან. ცოდნა შესწევთ, მაგრამ უნარი აკლიათ რაიმე კულტურულ საქმიანობას ჩაუდგნენ სათავეში ძმურად და აყვავონ იგი. ამ მხრივ მათთვის მისაბაძია საზღვარ გარეთული სამღვდელოება, ურომლისოდაც სოფლად არაფერი დაიწყება და თუ დაიწყება, გულმხურვალე და მომზადებულ ბევრმუშაკად ისევ სასულიერო პირი აღმოჩნდება. აი თუნდ მომხმარებელი საწარმოო კოოპერაციები და წვრილი კრედიტის კასები აიღეთ. ამათგან, დიდი უმრავლესობა, საზღვარ გარეთ სასულიერო პირთაგან არის დაწყებულ-გაჩაღებული.

ერთი სოფლისათვის ორი მღვდელი, მთავარი და დიაკვანი დიდი ინტელიგენტური ძალაა. გარდა სასულიერო ბაასისა ხალხთან, ამ ძალით შეიძლება მოეწყოს კითხვები სხვა და სხვა თემებზე, სადამოობით და კვირაობით საანბანო და საანგარიშო კურსები, სამრევლო სკოლა, მომღერალთა და მგალობელთა გუნდის შედგენა-გაწროვნა და სხ. ამისათვის მთავრობა, დარწმუნებული ვარ, წყრომის თვალით არ გადახედავს მცხეთის სამღვდელოებას, მაგრამ არაფერი ასეთი მცხეთაში არ გაგონილა საუბედუროდ. ჩვენებური მცხეთის სამღვდელოებას გაუხარებია სამინისტრო სკოლის გახსნა. სამრევლო ჭაოჭანად მიუგდენია და მოსვენებას მისცემია. სკოლის გარეთ კი აუარებელი ბავშვი რჩება ყოველ წლივ.

მერე როგორ ხელს უწყობს მცხეთა ყოველ ზემოაღნიშნულ საქმეების მოწყობას!.. ეს სოფელი ერთ ადგილას არის შეჯგუფული, ქალაქურად სახლი სახლზეა მიდგმული, ქუჩები, ოდესღაც განათებული, დღეს თუმცა ჩაბნელებულია, მაგრამ მისვლა-მოსვლისთვის ყოველგვარ ამინდში, გამოსადეგი: მაშასადამე ხალხის შეყრა-დაშლა ადვილია მცხეთაში და თუ ითავებს ვინმე, ხალხი არ დაიზარებს წასვლას ურიდობაზე. მცხეთის მამანო, მიბაძეთ მაგალითი სხვა სოფლების მღდლებს!.. უქადაგეთ, ესიბინეთ ხალხს, იგი გაიღვიძებს და ყოველ მხრივ მოგებულნი იქნებით...

მაგრამ რას ვამბობ! ვისაც ძველის შენახვა ვერ მოუხერხებია, განა ახალის შექმნას მოახერხებს!.. პატარა ვიყავ, სვეტი-ცხოვლის გალავანში დავხტოდი ხოლმე. ღუღუნა მტრედები ჩარჩოებ და შუშებ დამტვრეულ ტაძრის სარკმელში დაუბრკოლებრივ შეფრინდებოდნენ. როგორც მცხეთის ტაძრის შემკეთებელი კომიტეტი ჭმოწმობს ამ მტრედებს და ბელურებს დიდი ზიანი მიუყენებიათ ტაძრის კედლებისთვის და სახურავისთვის — წვიმის დენა სახურავიდგან, თუ სულ მათი ბრალი არ არის, ძაან დიდი ბრალი კი ედებათ თურმე. ამ [illegible] დღესაც, 30 წლის შემდეგ, ვხედავ სარკმლის ჩარჩოებს დამტვრეულ-დამპალს და შუშებ დამსხვრეულს. ეკლესიას თუ იმოდენა შემოსავალი არა აქვს, რომ ეს პაწაწინა ჩარჩოები და ორ მაურიანი შუშები ჩაუსხას, თუმც დიდად ვეჭვობ, რატომ არ მიჭმართავენ დღე-მუდამ მრევლს და არ გამოაღებინებენ თითო ოროლა მაურს. ნუ თუ ადგილობრივი სამღვდელოება იმდენად უპატივცემულოა, რომ გავლენას ვერ იქონიებს მრევლზე ამ პატარა შეკეთებისთვის წვლილი გამოაღებინოს!.. დიახაც შეუძლიათ, თუ გული გულობს, მაგრამ ჩვენ სულ სხვის იმედებით ვცხოვრობთ და წვრილმანების გაკეთებას ვერიდებით...

დროა ეკლესიის მსახურებმა თვით იზრუნონ მათ მასაზრდოებელ ეკლესიებზე. ერის კაცთ სხვაც ბევრი აქვთ საზრუნი და თუ ეკლესიის საჭიროებანი გამოეპარებათ, მათ ეს საბოდიშოდ არ გაუხდებათ...

არსებობს სამინისტრო ორ კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც სამი მასწავლებელი ჭყავს მიჩენილი. სახოგადოებამ დიდი ხარჯი გაიღო, ადგილობრივმა ქველმოქმედებმაც ხელი შეუწყეს და მცხეთას ეღირსა საკუთარი შენობა-მამულიანი სკოლა. გაიღო ეს სკოლა, მცხოვრებთ მშვენივრად აქვთ შეგნებული სწავლა-აღზრდის მნიშვნელობა, ამიტომ აუარებელი ბავშვი მოაწყდა ამ დაწესებულებას. მსურველთა რიცხვი დიდია; ყოველ წლივ ბევრი ბავშვი რჩება სკოლის გარეშე. ამ სკოლამ მოუღო ბოლო სამრევლო სკოლას და, როგორც ვსთქვი, ადგილობრივ სამღვდელოებას ჩხირი გვერდადაც არ უქცევნიათ, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ თავიანთ უწყების მიდატევსავით ხელი დაუბანიათ და კუნჭულში მიმსხდარან.

**მგზავრი ლ.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**რ. გაბაშვილი.**

# განცხადებანი

## ხეხილების გასხვლა

### ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

#### შეგირდების მიღება.

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: **თბილისი სანერგე ს. ს ხეთაგურისა.**

**Тифлисъ питомники С. С. Хетагури.**

**1894** წლიდან **1914** წლამდის

## საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

## საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, როსტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.